წელიწადი 1-ლი

ტელეფონი № 76.

სამშაბათი 6 ივნისი 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლი-რად. 15 მან.
ნახევარი წლით 8 მან.
თვიურათ 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. ხაზი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისში ...
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 46 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 46

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი და დამფუძნებელი ყრილობა

დღეს, ივნისის 4, თბილისში მოწვეულ იქნება პირველი და დამფუძნებელი კრება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა.

**ყრილობის წეს-რიგი.**

**1. საპროგრამო საკითხები:**

ა. საქართველოს ავტონომია.
ბ. საქართველოს ტერიტორია.
გ. საქართველოს ფინანსები.
დ. სააგრარო საკითხი საქართველოში.
ე. ავტოკეფალია და სარწმუნოებათა საკითხები საქართველოში.

**2. სატაქტიკო საკითხები.**

ვ. პოლიტიკური მომენტი: რევოლუცია, ომი და ზავი, ახალი მთავრობა, დამფუძნებელი კრება.
ზ. საქართველოს მოსაზღვრე ერები და ოსმალეთის საქართველოს საკითხი.
ც. საქართველოს საპოლიტიკო პარტიები და ეროვნული საბჭოს მოწყობა.

**3. საორგანიზაციო საკითხები:**

თ. მოხსენება მთავარ კომიტეტისა.
ი. მოხსენებანი ადგილობრივი კომიტეტებისა.
კ. პარტიული პრესა.
ლ. არჩევნები.

**საქ. ერ. დემ. პარტიის მთავარი კომიტეტი.**

ქ. ქუთაისის მიწადმოქმედების და სახელმწიფო მიწების მოსამსახურეები აუწყებენ საზოგადოებას, ძვირფასი ამხანაგის

### ვასილ სიმონის ძე ქორქოლიანის

გარდაცვალებას. გარდაიცვალა 3 ივნისს. პანაშვიდი ყოველ დღეს საღამოს 7 საათზე; გამოსვენების დღე დანიშნულია ხუთშაბათს 8 ივნისს, დილის 9 საათზე. წაასვენებენ სოფელ მაღლაკში.

ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ სოფ. პერევისაში გარდაიცვალა

### ალექსანდრე დიონისის ძე წერეთელი,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულდამწვარი ჭირისუფლები: მეუღლე ქიმონია მიხეილ ჯაფარიძის ასული; შვილები: ელენე, ვიტალი, ნინო, სერგი და ალექსანდრა; დედა ელისაბედ (ციცია) როსტომ აბაშიძის ასული; და ანეტა ორჯონიკიძისა; ბიძები: კონსტანტინე და მეთოდე როსტომის ძენი აბაშიძეები და რაჟდენ მალხაზის ძე წერეთელი; ცოლის ძმები: მღვდელი ვიქტორ და ტრიფონ მიხეილის ძენი ჯაფარიძეები. გამოსვენება საკუთარ სახლიდან და დაკრძალვა სოფლის ეკლესიის გალავანში მოხდება ამა ივნისის 9 დღით პარასკევს.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

3 ივნისიდან ნაჩვენები იქნება ახალი მეტად საგულისხმიერო სურათი

### ცოდვების წიაღში

მხატვრული დრამა 6 ნაწ. მონაწ. უმთავრეს როლში **ესფერი სოკნოპიუსი** და მსახიობი ალბერტ კოლოსი

ანონსი: 5 ივნისიდან 1917 წ. ნაჩვენები იქნება

### სამხედრო ქრონიკა

ქალი ხასიათით **„ტურტიზანკა“** დრამა 6 ნაწ. ველეგმისა, იაჩმენოვი და ბორისოგლებოვსკი.

**ყურადღება!** ამ დღეებში იხსნება საზაფხულო თეატრის განყოფილება!

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

5 ივნისიდან ნაჩვენები იქნება მეტად საგულისხმიერო პროგრამა

### დამსხვრეული ბორკილები

დრამა 5 ნაწ.

მონაწ. **ბაუერი, რანდინისა და პოლონსკი** კომედია. **ბობი შოფერი.**

**ანონსი:** 8 მაისიდან 1417 წ. ნაჩვენები იქნება

სამხედრო ქრონიკა

### ნინა

მხატვრული დრამა. 4 ნაწ. ბარანცევიჩისა და რასბანოვისა.
კომიკური. **ძუნწი პრენსი.**

**ყურადღება!** ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთების გზავნა.

## დ ღ ე ს:

**წერილები:**

ი. იმერელი —ხსნისაკენ.
დ. მაჭავარიანი —ლექსი.
რეს—საერთო მიმოხილვის მაგიერ.
ნ. ასათიანი—წერილები ჯარიდან.
ანეტა—გლეხ. საუბ. პროპაგან.
ი. ჯიხაიშელი—წერ. ბრძოლის ველ.
ქართული პრესა.
რუსული პრესა.

**ცნობები:**

რევოლუციის ამბები. მსოფლიო ომი. რუსეთი. უცხოეთი. ეროვნული კითხვა. ეროვნ. დემ. პარტია. აფხაზეთის ყრილობა დამფუძნ. კრების პროექტი ქართ. ენისა და ისტორ. მასწ. საყურადღებოთ. ახალი ამბავი.

### სატახტო-ქალაქის ცირკი ძმ. ეფიმოვებისა.

ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.



სამშაბათს 6 ივანობისთვეს 1917 წ. გაიმართება დიდი **სასპორტო ატლეტიური** წარმოდგენა, რომელიც შესდგება ცირკის საუკეთესო რეპერტუარისაგან. უკანასკნელი გასტროლები განთქმულ ბელგიელთა დასისა

5 კლიკეტი

პირველი გამოსვლა მოჭიდავე განთქმული ჩემპიონთა ჩემპიონი ქალისა ვახტუროვისა განთქმული მოჭიდავე ვახტუროვის ღვიძლი და რომელიც ტრადიკულათ გარდაიცვალა თბილისში დღეს იჭიდავებს 3 წყვილი 1. ნეგრი დუსე-მორა და ჯარის კაცი 15 პოლკის 12 როტის 1 რიგის პროფესიონალური მოჭიდავე სადინაკი ჭიდაობის დრო 20 წამი, პრემიით 50 მანეთი 2 მთელი ქვეყნის ჩემპიონი ქალი ვახტუროვა და მანკო 3. მთელი ქვეყნის ჩემპიონი ქალი რომანოვა და თურკესტნის ჩემპიონი ქალი სულეიმანი. დასაწყისი წარმოდგენისა 8 ნახევარ საათზე. დასაწყისი ჭიდაობის 10 საათზე.

**ანონსი** ამ დღეებში გაიმართება გრანდიოზული ბენეფისი განთქმულ ბელგიელთა დასისა

5 კლიკეტი

## ქუთაისის საარჩევნო კომიტეტი

სთხოვს იმ პირთ, რომელთაც სურვილი განაცხადეს იკისრონ რეგისტრატორობა ქალაქის მცხოვრებთა აღწერაში მობრძანდეთ ოთხშაბათს, 7 ივნისს, საღამოს 7 საათზე ქალაქის გამგეობის დარბაზში, სადაც დანიშნულია კომიტეტის სხდომა ქალაქის რაიონებათ დასაყოფად და სხვა საკითხების გამოსარკვევად.

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი.
მისამართი: ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

## ხ ს ნ ი ს კ ე ნ.

20—25 წლის წინად ჩვენი განწირვა მოხდა. ერის წარმღვნელ უბედურებად მოგვევლინა პარტიული ავადმყოფური სულის კვეთება. ერთი ოჯახის შვილნი ერთმანეთის სამტროდ დავირაზმენით. შინაური „შფოთი“ წარმოვშვით. ქართველი ერის უფლების და ეროვნულ იდეის გმობა საერთო საგნათ გავიხადეთ. წარსულისგან ბოძებული მემკვიდრეობა: კულტურა ეროვნული ქონება და პოლიტიკური უფლებები დაუზარებლად დავკარგეთ: სამაგიეროდ არაფერი შევიმატეთ. დავარღვიეთ ერის სიმაგრის კერა და ერთმანეთს საქიშპოთ კრიჭაში ჩაუდექით. ლიტერატურამ, საუბარმა, საქმემ პარტიული ზიარება მიიღეს...

იმ მაწამებელ დღეებს ახასიათებდა: ყველაფერი პარტიისთვის და არაფერი საქართველოსთვის. ქართველი ერის ინტერესების დასაცავად არ იბრძოდა არავინ, რადგან ასეთი ინტერესები ყველასთვის არ არსებობდა. მოვალეობის მხილებელი ბრძანებელი შეგნება, რომელიც ესე რიგათ საჭიროა ყოველი ხალხისთვის, ვერ დაიბადა. ვიარეთ უკუღმართის გზით. გზა და გზა ვჭხრიწეთ ვსერეთ საქართველოს მთლიანობა, გავაქრეთ სიმდიდრე, და ბოლოს **საკუთარ ოჯახზე** გულგატეხილები, საკუთარ ძალას მოკლებულები, უცხო იდეებით ვაპირებდით მტკივნულ, აშფოთებულ სულის დამშვიდებას. გადაგვარების გზაზე მდგარნი „მოღვაწეობას“ ვიწყებდით, რომელი მოღვაწეობაც ჩვენი ხალხისთვის გაუგებარი „ნანინა“ იყო. არ გვქონდა ეროვნული სკოლა, ამაზე საერთოდ ხმას არ ვიღებდით, გვართმევდენ ეკლესიას, ჩვენ ისევ ვსდუმდით. ქართველ გლეხს ყველაზე მეტად ავიწროვებდენ, ჩვენ ვერას ვშველოდით; ქართველი ხალხი ღატაკდებოდა ეროვნული სიმდიდრე უცხოთა ხელში გროვდებოდა,—ჩვენ ვერაფერს ვაწყობდით.

ჩვენი ხალხის მწარე კვნესა საერთო იდეალს ვერ გვისახავდა, საერთო აღმაფრენა და ენტუზიაზმს ვერ ვღირსეთ. დრო გადიოდა. ესა თუ ის ერი, რომელიც ეროვნულ დროშის ქვეშ საკუთარ სურვილებით და ნების ყოფით იყო დარაზმული, ძველ რეჟიმის დროსაც იკმაყოფილებდა ზოგიერთ ეროვნულ საჭიროებას.

ჩვენ კი, ჯერ ერთი რომ არაფერს ვთხოულობდით, და თუ შემთხვევით რამეს მოთხოვნას გავბედავდით, მაშინ ისეთ აურზაურს, დავას და პარტიულ ომს გავაჩაღებდით, რომ არამც თუ ჩვენი მოთხოვნილების განაღდება, მოეფიქრებოდა ვისმეს არამედ ჩვენი დამშვიდება ხდებოდა თავსატეხი.

15 წლის განმავლობაში სადავო კითხვად საქართველოს შინაური თავისუფლება გვქონდა. აქ ბრალი ყველას ერთნაირი მიგვიძღვის, რადგან საქართველოს საქმეთა მოწყობას ყველა პარტია თავის საკუთრებად აცხადებდა, რის გამოც ვერ მაღლდებოდა ეროვნული იდეა, პირ იქით იგი მშრომელ ხალხს შესძულდა კიდეც... საქართველოს მშრომელი მასა ჭკვირდებოდა ჩვენი მოქმედებით და ჩვენდამი ნდობას ჰკარგავდა.

ასეთი საშინელი რამ იყო ამ 20—25 წლის განმავლობაში ჩვენი ყოფა. და ამ ყოფაში მოგვისწრო რუსეთის დიდმა „ტეხამ“. სახელმწიფოს მოძველებული მექანიზმი უცბათ დაიმსხვრა. დამონებულმა ერებმა თავისუფლად ამოისუნთქეს და საკუთარ ეროვნულ ცხოვრების შექმნას შეუდგენ.

ქართველები აქაც განზე დავრჩით. ვერ შევიგნეთ მომენტის დიადი მნიშვნელობა. უკრაინამ ეროვნულ შეგნების იშვიათი მაგალითი მოგვცა. სასწრაფოდ გაიჩინა ეროვნული ორგანოები, ეროვნული სკოლა, სასამართლო. ჩვენ ყველა ესენი არ ვისურვეთ. გულ მოსაკლავი ხდებოდა ჩვენი ყოფა.

ყოველი შეგნებული ქართველის გულში მწარე იდუმალი ფიქრები აღმოცენდებოდა.

რას ვშვრებოდით?

საქართველოს ჩვენი ხელით უთხრიდით სამარეს.

მაგრამ ჟამი იგი, ჩვენთვის საზარი და მწარედ მოსაგონარი, მოკვდა. უიმედობის ჯილა აგვშორდა ბურუსი ძლიერმა ქარიშხალმა გააბნია. დღეს ხალხი მის პირდაპირ და აუცილებელ საჭიროებათ ცნობილობს და თხოულობს. ქართველი ხალხი აღარ არის თავის ერის თავისუფლების უარის მყოფელი.

ქართველი მშრომელი ხალხის ბელადი ნოე ჟორდანია—ქართველ მშრომელ ხალხს მოუხმობს ეროვნულ თავისუფლების მოსაპოებლად.

ყველამ შევიგნოთ ჩვენი ინტერესები ყველა ავმაღლდეთ ეროვნულ იდეამდე, ზერელე სიძულვილი დავასამაროთ, ქართულ ენერგიას, ქართულ ნიჭს ქართულ სიმდიდრეს მოუწოდოთ ეროვნულ კოლექტიურ თანამშრომლობისთვის. გამოვნახოთ ერთი გზა, გამოვიტანოთ შეურყეველი, დადგენილება საქართველოს ეროვნულ ტერიტორიულ ავტონომიის მოსაპოებლად. ალღო აუღოთ ხალხის ტკივილებს და საჭიროებათ, ალღო აუღოთ მომენტს. შეუდგეთ ენერგიულ მოქმედებას, შევერთდეთ საერთო სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ხსნა აქეთ არის.

**ი. იმერელი.**

## ქართული პრესა.

გაზ. „ერთობა“ ფინეთის ეროვნულ მისწრაფებას შემდეგს წერილს უძღვნის (იხ. „ერთ“. № 63: ფინლიანდიის და მოუკიდებლობა):

ფინლიანდიის ერი დამოუკიდებლობისაკენ მიილტვის. ეს აშკარაა ყველასთვის, ვინც თვალყურს ადევნებს ფინლიანდიელთა პოლიტიკურ მოღვაწეობას ამ შემთხვევაში ყველა პარტია ერთსა და იმავე პოზიციაზე დგას. რამოდენიმეთ მიზანი უკვე მიხწეულია, დროებითი მთავრობა დასთანხმდა. გადაეცეს ფინლიანდიის სენატს ყველა იმ კანონების დამტკიცების უფლება. რომელიც ქვეყნის შინაურ ვითარებას ეხება, უწინ ყველა კანონებს ამტკიცებდა რუსეთის იმპერატორი და ფინლიანდიის დიდი მთავარი. ამჟამათ რუსეთის მთავრობის ხელში რჩება მხოლოდ იმ კანონების დამტკიცების უფლება, რომელიც განსაზღვრავს რუსეთ ფინლიანდიის ურთიერთობას და რუსეთის მოქალაქეთა უფლებებს ფინლიანდიის საზღვრებში მარა ფინლიანდია არც ამით დაკმაყოფილდა სოციალ-დემოკრატიის დიდ-

რი, ამჟამათ სენატის თავმჯდომარე ტაკოი აცხადებს: „თავისუფალი ერი დამოუკიდებელი ერია‟. სწორეთ-ასეთია ფინლიანდიელთა ლტოლვილება. მარა მათ არ სურთ ისარგებლონ დროებითი მთავრობის გაჭირვებული მდგომარეობით, როცა რეაქციონერები ირაზმებიან და რევოლუციის დასამარებას ცდილობენ. ამიტომაც საბოლოოთ კითხვას დამფუძნებელი კრება გადასწყვეტს.

დემოკრატია მომხრეა ერთა თვითგამორკვევის უფლების. ყველა ერმა თავისი ბედი თვითვე უნდა გადასჭრას აქ არავითარ ძალდატანებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ეს განსაკუთრებით ნათელჰყო მსოფლიო ომმა. სამი წელია, რაც იმპერიალისტური სახელმწიფონი ერთი მეორეს სამკვდრო სასიცოცხლოთ ეომებიან, მარა შედეგი არა სჩანს: ჯერ-ჯერობით თავს გამარჯვებულათ ვერავინ ჩასთვლის. ამიტომაც არის ომის დაბოლოვება საერთაშორისო დემოკრატიამ უნდა იკისროს. ეს შეიძლება ანექსიისა და კონტრიბუციის უარყოფით და ერთა თვით გამორკვევის პრინციპის აღიარებით. ასეთია საერთო დროშა და ამითვე უნდა ვიხელმძღვანელოთ ფინლიანდიის საკითხის გადაჭრის დროსაც რუსეთის რევოლუციონური დემოკრატია, ყოველივე ძალდატანებას უარყოფს. ფინლიანდია დამოუკიდებლობას მოითხოვს. ამ შემთხვევაში მას გვერდში ამოუდგება რუსეთის მუშათა კლასი და შეგნებული გლეხკაცობა.

რუსეთის მთლიანობა თვითმპყრობელობის დროს დაფუძნებული იყო ხიშტსა და ძალადობაზე. ამიერიდან ამას ადგილი აღარ ექნება. თუ ერი თავისთვის საუკეთესოთ მიიჩნევს, გამოყოფას და დამოუკიდებელ ცხოვრებას, ამ შემთხვევაში დემოკრატია მის სურვილს სამართლიანათ იცნობს და მას თავისუფლების მოპოვებაში დაეხმარება.

ფინლიანდიის დემოკრატია დამოუკიდებლობას ესარჩლება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის მიზანს მიახწევს.

---

## რუსული პრესა.

პლეხანოვის გაზეთი „ედინსტვო“ (ერთობა) ეხება შრომის მინისტრის, სკობელევის, მოქმედებას და სწერს.

„შრომის ახალმა მინისტრმა, მ. სკობელევმა, სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიც პროექტი წამოაყენა—ჩამოერთვას მწარმოებელს „მოგების ასი პროცენტი“ ე. ი. სხვაფრივ რომ ვსთქვათ, მთელი მოგება

ახირებულ შემთხვევით, თითქმის იმავე დროს, როცა ეს სიტყვა წარმოითქვა, „პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს უწყებებში“ დაისტამბა წერილი, სადაც ის აზრი იყო გატარებული, რომ რაკი ამ ჟამად რუსეთში ბურჟუაზიული წყობილება დარჩება და სოციალიზმი ვერ განხორციელდება, შეუძლებელია მწარმოებელს მთელი მოგება ჩამოერთვას, არამედ განსაზღვრული ნაწილი მოგების მწარმოებელს უნდა დარჩესო.

სკობელევს რომ „უწყებებში„ მოთავსებული წერილი ზემო ხსენებულ სიტყვის წარმოთქვამდე წაკითხული ჰქონოდა, ადვილი შესაძლებელია, ეს სიტყვა აღარ წარმოეთქვა. მაგრამ სიტყვა წარმოითქვა და დაუყონებლივ გამოძახილი ჰპოვა,—როგორ გგონიათ, სად? —პარიზის ბირჟაზე, სადაც მან რუსულ მანეთის კურსი დასცა 100 მანეთისათვის 150 ფრანკამდე. რუსის ჯარის უსასტიკეს დამარცხების ჟამსაც კი მანეთის კურსი ასე დაბლა არ დაწეულა.“ ამ ფაქტიდანო—ამბობს „ედინსტვო“—მ. სკობელევს შეუძლია სამი დასკვნა გამოიყვანოს.

1) მინისტრის სიტყვებს სხვაგვარ ანგარიშს უწევენ, ვიდრე უპასუხისგებლო პირთა სიტყვებს,

2) მინისტრებს მართებთ დიდის სიფრთხილით ასწონდასწონონ თავისი სიტყვების შესაძლო შედეგები.

3) შრომის მინისტრის სიტყვა არა ყოველთვის უმსუბუქებს საქმეს ფინანსების მინისტრს.

---

## საერთაშორისო მიმოხილვის მაგიერ.

(ბალკანეთი.)

ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზე საყურადღებო ცვლილებები მოხდა- იტალიის სამეფომ განახორციელა თავისი იმპერიალისტური მისწრაფება. იმ დროს, როდესაც რევოლუციურ რუსეთის ზეგავლენით საერთაშორისო დემოკრატია უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს მოითხოვს. იტალიის ლაშქარმა ალბანეთის ანექსია მოახდინა. იტალიის მიერ ასეთი ნაბიჯის გადადგომა მოულოდნელად მოხდა. ამის შესახებ არაფერი იცოდენ საერთაშორისო დიპლომატიურმა აგენტებმა. იტალიის საქციელი მის მოკავშირე სახელმწიფოებში „დიდ პროტესტს“ იწვევს და ინგლის-საფრანგეთის ელჩები მზად არიან, რომში უკმაყოფილება განაცხადონ. ჰქონდა თუ არა იტალიას ზნეობრივი ან იურიდიული უფლება, რომ ალბანეთის სამთავრო დაეპყრო? არა იტალიას ოთხთა შეთანხმების კავშირში მყოფს, საერთო დასტურის მოულოდნელად, ოფიციალად არც ერთ ადგილას შეერთება ar შეეძლო.

გარდა ამისა, ალბანეთის დაპყრობა და ძალით შეერთება სავსებით აქარწყლებს და უტოპიურ ხასიათს აძლევს ხალხთა თვითგამორკვევის საფუძველზე დამყარებულ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის პრინციპს. იტალიამ გადასთელა პირობა და ხელშეკრულება თავის მოკავშირეებთან მით, რომ მათ დაუკითხავათ შეიერთა ნადავლი“. იტალიამ შეურაცჰყო საერთაშორისო დემოკრატიის პრინციპიც.

ომი ფაქტიურად კვლავ მონობას და პატარა ერთა ჩაგვრას ავრცელებს ქვეყნად. მოკავშირენი იტალიას პასუხს სთხოვენ. საინტერესოა, ისინი იტალიას უსაყვედურებენ? მხოლოდ იმას, რომ იტალიამ მათდა დაუკითხავად შეიერთა ალბანეთი. რაც შეეხება დემოკრატიულ პრინციპების უარყოფას, ამაზე იტალიას არავინ უჩივის. ანექსია და სხვა ერთა დამონება „ურყევია“...

ძლიერნი ამა ქვეყნისანი ერთმანეთს ეცილებიან სხვა ეროვნებათა „დაგლეჯაში“...

ვნახოთ, როგორ ზომებს მიიღებს იტალიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო დემოკრატია და, განსაკუთრებით კი, რევოლუციური რუსეთის მუშათა საბჭო.

პოზიცია, რომელსაც ალბანეთის ანექსიის მიმართ დაიჭერს რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო გამოარკვევს იმას, თუ რა აზრისაა ხსენებული საბჭო პატარა, ძლიერება-მოკლებულ, ერთა კითხვაში.

* *
*

მეორე საყურადღებო ფაქტია საბერძნეთის მეფის კონსტანტინეს ტახტიდან გადადგომა. „რეიტერის სააგენტო“ სიხარულით აღნიშნავს, რომ ათინის ბურუსი განიფანტა, ორპოფობა მოისპო და ვილჰელმის ჯარის ფელდმარშალი, მეფე კონსტანტინე, ტახტიდან გადადგა.

საბერძნეთის უკანასკნელ მდგომარეობის შესახებ საკმაოდ დაიწერა ქართულ გაზეთებში. ზოგი მეფე კონსტანტინე საბერძნეთის მხსნელად გამოყავდა, ზოგს კიდევ ვილჰელმის მონა-მორჩილად.

არც პირველი და არც მეორე აზრის განხილვას არ შეუდგებით. როგორი პიროვნებაც არ უნდა ყოფილიყო მეფე კონსტანტინე, ის კი ცხადია, რომ საბერძნეთის გადასარჩენად იგი მეტად ოსტატურად იქცეოდა. კონსტანტინემ ააშორა პატარა ელლადას რუმინეთისა და საბერძნეთის მწარე ხვედრი. მეფე კონსტანტინე ნამდვილ დიპლომატის როლში გამოდიოდა იმ დიპლომატის, რომელიც მართალს არას დროს არ იტყვის. კონსტანტინე აშოშმინებდა ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოთა ელჩებს, რომელნიც მას ღალატს სწამებდენ. კონსტანტინე ადვილად იშორებდა თავიდან „სარისხვოთ“ წარგზავნილ ოთხთა შეთანხმების ნოტა ულტიმატუმებს...

კონსტანტინეს ყველა მეზობლად ჰყავდა და ყველას კი სამარეს უთხრიდა.

რამ გამოიწვია მეფე კონსტანტინეს გადადგომა? ჯერ ათინიდან გარკვეული ცნობები არ მოსულა ამის შესახებ, მაგრამ ზოგადათ ვიტყვით შემდეგს: ბოლო ხანს იტალიამ ბალკანეთზე თავის ლაშქარი გააძლიერა და ოთხთა შეთანხმებას ეუბნებოდა: „საქმე გაათავე საბერძნეთთან, მე ზურგს გაგიმაგრებო.

შეთანხმების სახელმწიფოებმა ჯარები დასძრეს პირეის მიდამოებში და თესალიას დაემუქრენ. ათინაში აღმოაჩინეს დიდი მილი, საიდანაც მეფე კონსტანტინეს საიდუმლოთ გადაყავ-გადმოყავდა ჯარი. დიდი სახელმწიფოები აღარაფერში ენდობოდენ კონსტანტინეს და ამიტომ მას მუდმივი კანტროლები მიუჩინეს კომისარების სახით.

საბერძნეთს ფლოტი და ჯარი ჩამოართვეს. საბერძნეთს ემუქრებოდა--შიმშილი და შინაური უთანხმოება.

შეიძლება ასეთ მდგომარეობიდან გამოსავალი გზა ვერ გამოსძებნა და მთელ დემოსის წინაშე პასუხის გებას გვირგვინის დათმობა არჩია. შესაძლოა ზოგადი გავლენა მეფე კონსტანტინეზე რუსეთის რევოლუციამაც მოახდინა.

საბერძნეთის ტახტზე მემკვიდრე კონსტანტინე ავიდა.

ყველაზე საყურადღებო ის არის, თუ როგორ ბედში იქნება აწ საბერძნეთი. შესძლებს, თუ არა ახალ გაზდა მეფე ყოველთვის გადაურჩეს “ძლიერთა რისხვას.“

რეს.

---

# რევოლუციის ამბები

(პ. დ. ს.)

## დეპეშები

**სამხედრო საზღვაო მინისტრის ბრძანება.**

პეტროგრადი. 1 ივნისი. საზღვაო მინისტრი მაისის 31 გამოცემულს ბრძანებაში აცხადებს: რუსეთის რევოლუცია და მის მიერ წარმოშობილი თავისუფლება იმყოფებიან განსაცდელში. ამიტომ ყველას მოვალეობას შეადგენს დაწყებული მთავარსარდლიდან უმცროს აფიცრამდე მტკიცედ ასრულებდეთ თქვენს თანამდებობას. აგრეთვე მოვალენი ხართ, თქვენც ჯარისკაცებო, მტკიცედ იდგეთ თქვენ თქვენს პოსტებზე. იმპირთ, კი რომელიც თვისი ნებით დასტოვეს სამხედრო ნაწილები არ გამოცხადებულან 1917 წლის მაისის 15-ამდე გარდა კანონის მიხედვით დასჯისა ერთმევათ უფლება დამფუძნებელ კრებისათვის არჩევნების მიღებაში და ამასთანავე ეკარგებათ მიწათ-მფლობელობის უფლება. ის პირნი კი, რომელნიც თავიანთ ნაწილებში დაბრუნდენ 1917 წლის მაისის 19-დის სამსახურის ერთგულად ასრულებით გამოისყიდიან დანაშაულს. ის პირნი, კი, რომელნიც თავიანთ ნაწილებში არ გამოცხადებულან 1917 წლის მაისის 15-დის დაისჯებიან, თუ რაიმე საპატიო მიზეზი არ ექნებათ.

**შავი-ზღვის გუბერნიის მუშა ჯარისკაცთა და გლეხთა ყრილობის დასრულება.**

ნოვოროსიისკი. 1 ივნისი. დასრულდა შავი-ზღვის გუბერნიის მუშათა ჯარისკაცთა და გლეხთა ყრილობა. ამოირჩიეს საგუბერნიო კომისარიატის ახალი შემადგენლობა გუშინ შესდგა კრება იმ პირთა, რომელთაც უკავიათ საადმინისტრაციო პოსტები და დაადგინეს ადგილები არ დასტოვონ. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ გადასწყვიტა თანამდებობიდან გადააყენონ პროკურორის ამხანაგი, სამხედრო რაზმის შემწეობით დაიკავონ გუბერნატორის კანცელარია და მოსთხოვონ დროებითი მთავრობას, რათა გამოგზავნონ კომისია საქმის გამოსაკვლევლად.

**საგუბერნიო საერობო ყრილობა.**

კოსტრომა. 1 ივნისი. გაიხსნა გლეხთა დეპუტატების საბჭოს მიერ მოწვეული ყრილობა. ხმის უმეტესობით პრეზიდიუმში გავიდა 2 სოციალ-დემოკრატი. 2 სოციალისტ-რევოლუციონერი და ერთიც ხალხის თავისუფლების პარტიისა.

**საოლქო ყრილობა.**

მინსკი. ივნისის 2. სასწრაფო. გაიხსნა პირველი საოლქო ყრილობა ბუნდის ორგანიზაციისა დელეგატები მოვიდენ ვიტებსკიდან. მოგილევიდან, მინსკიდან, სმოლენსკიდან, ჩერნიგოვიდან ყრილობაზე აღძრულ იქნა კითხვა სოციალისტების ავტონომიის მიმართ განწყობილების შესახებ.

**დამფუძნებელ კრების მომწვევ კომიის საგანგებო თათბირი.**

პეტროგრადი. მაისის 31. დამფუძნებელ კრების მომწვევ კომისიის საგანგებო თათბირმა იქონია მსჯელობა დეზერტირების შესახებ, რომელთაც ერთმევათ უფლება არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა და იმ პირთა შესახებ, რომელთაც სასამართლოს წესით აქვსთ ახდილი ყოველგვარი უფლება. კითხვა გამოურკვეველი დარჩა კომისიამ მსჯელობა იქონია დამფუძნებელ კრების არჩევნების სისტემის შესახებ.

**უკრაინელები და დროებითი მთავრობა.**

პეტროგრადი. ივნისის 1. დროებითმა მთავრობამ არ დააკმაყოფილა უკრაინის ცენტრალ რადის მოთხოვნილება ზოგიერთი რეფორმების შესახებ‘ რადგან ყოველი კითხვა უკრაინის ერისა დაკავშირებულია მის ავტონომიასთან. უკრაინის ავტონომიის კითხვა გადაწყდება დამფუძნებელს კრებაზე.

---

## რუსეთი

პ. დ. ს.

### დეპეშები.

**უწესოება.**

**ნოვოჩერკასკი.** ივნისის 1. ბრბო 150-მდე გლეხთაგან შემდგარი შეესია სუპრუნოვის მამულს და მრავალი უწესოება მოახდინა. სუპრონოვი იძულებული შეიქნა ცოლშვილით გახიზნულიყო.

**ცეცხლი.**

**ჟიტომირი.** ივნისის 1. დაბა ოდევსკში ცეცხლმა დასწვა 400 სახლი ულუკმაპუროდ დარჩენილი დაზარალებულნი ცუდს პირობებში იმყოფებიან.

**ძარცვა-გლეჯა.**

**ტაგანროგი.** ივნისის 1. დღისით ხუთი შეიარაღებული უცნობი თავს დაესხა ქალაქის ცენტრში აგურის ქარხნის კონტორას და გაიტაცა 2000 ნაღდი ფული და 10,000 მანათის ქაღალდები. მძარცველთა შორის ერთი პრაპორშჩიკის ფორმაში იყო გამოწყობილი. ღამით 4 შეიარაღებულმა მძარცველმა გაძარცვა ინჟენერი ტარასევიჩი. წაიღეს 15,000 მანეთად ღირებული ნივთები.

**თავისუფლების სესხი.**

**ოდესა** მაისის 31. კონცერტზე, რომელიც გაიმართა მაისის 29 თავისუფლების სესხზე ხელი მოაწერეს 2 მილიონ მანეთამდე.

**პეტროგრადი.** ივნისის 2. პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ აუცილებელ საჭიროებად სცნო, რომ მოიპოვონ სესხად 400,000 მანეთი.

**უწესოება.**

**ჟიტომირი.** ივნისის 2. ხდება უწესოება ეკონომიურს ნიადაგზე. ბრბო შესდგება ჯარისკაცებისა და მუშებისაგან. დაატუსაღეს პოლკოვნიკი პოპოვი და რამდენიმე მოქალაქე.

**პურის ფქვილის სიმცირე.**

**ტაშკენტი.** ივნისის 2. პურისფქვილის შემცირების გამო დაადგინეს სულზე პურის მიყიდვის რაოდენობა შეამცირონ.

**ფართლეულობის ნაკლებობა.**

**ხარკოვი.** ივნისის 2. კოოპერატივების ცნობით სოფლის მცხოვრებლები განიცდიან ფართლეულობის ნაკლებობას. იგინი აცხადებენ, რომ თუ ისინი ამ მხრივ არ დააკმაყოფილეს, უარს განაცხადებენ აქედან პურის გატანაზე.

---

## უცხოეთი.

პ. დ. ს.

### დეპეშები.

**გემების დაღუპვა.**

**პარიზი.** მაისის 31. სამგზავრო გემი „სექვანა“, რომელიც სამხრეთ-ატლანტიის საზოგადოებას ეკუთვნოდა, 26 მაისს დილით წყალქვეშა ნავმა ჩასძირა. გემზე 550 მგზავრი იყო და 100 კაცი გემზე მომუშავე. დაიღუპა 19.

**რუსების ჩასვლა.**

**ნიუ-იორკი.** მაისის 31. მშვიდ ოკეანეს ნავთსადგურში ჩამოვიდა რუსეთის მისსია.

**სავაჭრო გემების შეიარაღება.**

**ლონდონი.** ივნისის 1. მინისტრმა ადისონმა სთქვა, რომ მთავრობის აზრია ყოველ სავაჭრო გემზე ერთი ან ორი იარაღი დასდგანო.

**ჰაეროპლანების თავდასხმა.**

**ლონდონი.** მაისის 31. გადმოფრინდა მტრის ჰაეროპლანები. ხალხი შესახედავათ სახლის სახურავებზე ადიოდა მცხოვრებთ არ შეშინებიათ. ბონარლოუმ პალატაში განაცხადა, რომ სამხედრო ზარალი არ იყოვო. მოკლულია 60 კაცი, დაჭრილი 200-მდე მათ რიცხვში 10 მკვდარი და 50 დაჭრილი ბავშია.

**გენერალ პერშინგის ჩასვლა.**

**პარიზი.** მაისის 31. ღენერალ პერშინგისა და მისი შტაბის მატარებელი ჩავიდა საღამოს შვიდის ნახევარზე. აუარებელი ხალხი მოუთმენლად მოელოდა მას. ტერიტორიულმა ბატალიონმა მისცა სამხედრო სალამი, გვარდიის ორკესტრმა შეასრულა ამერიკის ჰიმნი. და მარსელიოზა. პერშინგს შეეგებენ წარმომადგენლები, ჯოფრი, რიბო, პენლევე. მისალმა მთავრობის სახელით ვივიანი ... სადგურიდან სასტუმრომდის ... ... ფრთოვანებით ხვდებოდა. სასტუმროში გაუმართეს დიდი ოვაციები.

**მეფე კონსტანტინეს გამგზავრება.**

**პარიზი.** ივნისის 6. გავასის სააგენტოს ატყობინებენ: სოლუნიდან მეფე კონსტანტინე, მისი მეუღლე სოფიო, ვაჟიშვილი პავლე, სამი ქალიშვილი გაემგზავრენ ნავთსადგურ არკოსო გარენტიდან.

---

## წერილი ბრძოლის ველიდან

საღამოს ჟამია. მოწინავე პოზიციებზე დრო გამოშვებით გრიალებს ზარბაზანი. მისი გრგვინვა ჩვენ ვერ გვაკრთობს... მაგონდება ამ ორი წლის წინად პირველად რომ მოველი ბრძოლის ველზე... მაშინ ჩვენი გული ძუძუზე მოგლეჯილ ბავშვის გულივით ტოკავდა. ყველგან საშინელებას ვხედავდით... ჩვენს გონებაში ისადგურებდა ცხოვრების არარაობა.

ვერვის ვეკარებოდი, მზარდა ყველაფერი. ჩემს ბოდმას დამდამობით, ყინულიან მაღლობებზე დარაჯობის დროს, ნადირთა ღმუილს ვაქსოვდი. ორი წლის წინად, გატაცებული ახალგაზდა ვიყავი.

ჩემი იდეალი მაშინ ოცნების სამეფოებში დამაფრენდა. ოცნებურ ბრძოლით თავს ვევლებოდი სამშობლოს კეთილ დღეობას და მის სახსნელად ყოველთვის აღმაფრთოვანებელ სიტყვებს ვამბობდი·

მწამდა სამშობლოს ძვირფასი მომავალი... მე მუდამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ყოველი ქართველი სამშობლოსთვის თავდადებულია.

ბრძოლის ველზე დროებით შეირყა ჩემი გრძნობები. მოულოდნელად გავიტყორცნე უცხოეთში ჩემ გვერდით იყვენ ჩემი თანამემამულენი, რომელთა ფსიხიკაშიც სიმახინჯე შეჭრილიყო. ისინი კიდეც მიკრძალავდენ სამშობლოზე ლაპარაკს. ერთ საშინელ დღეს, როდესაც ავსტრიის ჯარმა მუსრი გაავლო ჩვენს მე-12 როტას, რომელშიც უმრავლესობას ქართველობა შეადგენდა, სიკვდილის ჟამს ყველანი წამოიძახებდენ ხოლმე; ეი სამშობლო, ძვირფასო საქართველო, ნეტავი შენი მიწა მომეყაროსო!! გულს მიკლავდა ამის გაგონება. ვეგდე დაჭრილი, ჭრილობას ვერ ვგრძნობდი... მე მინდოდა მხოლოდ იმ საიდუმლოების მოსმენა, რომელსაც სიკვდილის ჟამს წარმოსთქვამდენ მეომრები... აგერ წამოიწია უკრაინელი „ტელეჩუკი (ასე ეძახდენ) და ამბობს: „ღმერთო, რათ გასწირავ ხალხს? რა დაგიშავეთ, დაგვხოცე ჩვენს მამულში!“..

თანამემამულენი დამეხოცენ!... დაჭრილი გ-ს ლაზარეთში ვწევარ... ორი კვირის შემდეგ ისევ ბრძოლის ველზე მაბრუნებენ... ამ დროს მ-ს ბრძოლის პირზე მოვიდა ქართველთა რაზმი. აქ მოგრიგებითი ომი სწარმოებდა. ქართველები ანჩხლობდენ და შეტევას მოითხოვდენ.

24-ს მძაფრი შეტაკება მოხდა ქართველები გამხნევებული ყიჟინით მიესიენ მოწინააღმდეგეს. დაიხოცენ... მტრის ტეხნიკამ სძლია პირად ვაჟკაცობას.

ისევ მარტო ვარ... ბრძოლის სისაზარლე ჩემზე ცუდათ აღარ მოქმედობს. სისხლის ღვრას შევეჩვიე, იგი აწ გასართობი მგონია. ღრმად ვრწმუნდები, რომ ქართველთა გმირობა და დაღვრილი ზღვა სისხლი ნაყოფს გამოისხამს და განწირულ საქართველოს გაუთენდება ბრწყინვალე დღეები თავისუფლებისა. ამ ფიქრებით ვსაზრდოობ. გამახსენდა ჩემი გულის სატრფოც. იგი მეტად შორს არის და ვინ უწყის, იქნებ მე უკვე დამივიწყა...

დღეს ნეტარ ამბავს ვგებულობ!.. დამსხვრეულა ძველი, ხალხთა სულშემხუთავი, რეჟიმი. ბნელ ბოროტ დროშას თავი დაუხრია და მის ადგილას აღმართულა დროშა სამართლიანობისა და ყველა ხალხის თავისუფლებისა. ამაზე უფრო დიდი ბედნიერება შეიძლება? ეს მსურდა მხოლოდ... ჩემი სამშობლო საქართველო თავისუფალი იქნება. მას აღარ შეურაცყოფენ, აწ ქართველ ჯარისკაცს აღარ სცემენ...

ოცნება შორს მიტაცებს. ზარბაზნები გრიალს ყურადღებას არ ვაქცევ. ყველგან ჩემი პაწაწა სამშობლო, ჩემი ხალხი მელანდება... ვხედავ, რომ თავისუფლების მზე უხვად მიმოაბნევს სხივებს ივერიაში...

საღამოა ბრძოლის ველზე მდუმარებაა... კარავში შემოვიდა ორი ქართველი... თბილისიდან არიან. ოჰ!.. ჩემს სიხარულს ბოლო არ აქვს... ვეკითხები „მითხარი სამშობლოს ამბავი... ახლა ხომ ყველაფერი ხარობს იქ? გულსაკლავი პასუხი მესმის..." ქართველ ხალხს მხოლოდ სამშობლოს გარეშე მყოფს აგონდება თავისი სამშობლო. იქ მყოფნი კი არ იღწვიან მისი თავისუფლებისთვის. ქართველი ხალხი ერთმანეთს დაერია სხვის ბედნიერებას ეწირება თავის ერის ბედნიერებას არა ჰქმნისო!!.

ნუ თუ მართლა!.. ნუ გამართლებულიყოს ეს ხმა საზარი... მონობა სურს ჩემს ერს? ვაი სირცხვილო!.. როგორ შევხვდეთ თავისუფლებისთვის განწირულ ძმათა სულთ... საშინელ გოდებაში ვარ...

ბრძოლა გახალდა... სამშობლო! ნუ დაგიბრუნდეს. ნურც ერთი შვილი, თუ დღევანდელმა დღემ შენი თავისუფლება არ გამოსჭედოს... წყეული იყოს ის ქართველისძე, რომელმაც თავი არ შეაკლას სამშობლოს დიდებას და თავისუფლებას!..

**ი. ჯიხაიშელი**

# მსოფლიო ომი

პ. ლ. ს.

**დ ე პ ე შ ე ბ ი.**

დასავლეთის ასპარეზი.

**ლონდონი.** ივნისის 1. ოფიციალი. მტერი ვაიძულეთ დაეტოვებია ზოგიერთი ადგილები. ჩვენი ჯარი მტერს უკან დაედევნა და საგრძნობლად წინ წაიწია. გაპარდოს მიდამოებში ღამით მოვახდინეთ მტერზე თავდასხმები. წამოვიყვანეთ რამდენიმე ტყვე.

**პარიზი.** ივნისის 1 ოფიციალი. ასპარეზის უმეტეს ნაწილში საარტილერიო სროლა გრძელდება. საარტილერიო მოქმედება მწვავე ხასიათს იღებდა კრანის მიდამოებში. აღმოსავლეთით მტერმა რამდენიმე თავდასხმა მოახდინა ჩვენზე.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** ივნისის 3. ოფიციალი ადგილ ადგილ ხდებოდა საარტილერიო სროლა. ივნისის 2 ღამით ჩვენმა ბატარეებმა მოახდინეს მტერზე მოულოდნელი თავდასხმა.

**პეტროგრადი.** ივნისის 2. ოფიციალი. აღმოსავლეთის ფრონტზე სროლა გრძელდება.

რუმინეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** ივნისის 2. ოფიციალი. ჩვეულებრივი სროლაა.

კავკასიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** ივნისის 2. ოფიციალი, ტერებულში ჩვენ მიერ წარმოებულმა სროლამ ცეცხლი გამოიწვია ტერებულეს მიდამოებში მარხონის მახლობლად თურქების ცხენოსანთა თავდასხმა მოვიგერიეთ. სოფ. ხოსროვაბადის მიდამოებში ქურთები დაეცენ ჩვენს ტრანსპორტს. სროლა გაგრძელდა $1^{1/2}$ საათს. ქურთები გავფანტეთ.

**პეტროგრადი.** ივნისის 3. ოფიციალი სროლა და წვრილ-წვრილი შეტაკებებია.

# ეროვნულ დემოკრატიული პარტია.

**ქ. ფოთი.** 25 მაისს ადგილობრივ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პოლიტიკურ კლუბში მოხდა პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა საერთო მორიგი კრება.

კრება გახსნა კომიტეტის თავმჯდომარემ ან. ქავთარაძემ. კრებას ხალხი ბლომათ დაესწრო. ილაპარაკა ბ-ნ ვასილ წერეთელმა, რომელმაც ყველასათვის გასაგები ენით ახსნა სხვადასხვა პროგრამის საკითხები.

აგრარულ საკითხზე, სხვათა შორის, სთქვა, დიდათ საეჭვოა, რომ რუსეთში მიწის სოციალიზაცია მოხდეს, როდესაც თითქმის მთელი მიწები ევროპის ბანკებშია დაგირავებულიო. რაც შეეხება საქართველოს, ჩვენი გლეხი მიწის სოციალიზაციას ვერასოდეს შეურიგდება და ამაზე ლაპარაკიც მეტიაო.

სოც. ფედერალისტების შესახებ ბ-ნ წერეთელმა სთქვა, რომ ამ პარტიამ უკვე გაუშვა ხელი არჩილ ჯორჯაძის მოძღვრებას და ამ ბოლო დროს იქამდისაც კი მივიდა, რომ ისეთ ავტონომიას თხოულობენ საქართველოსათვის, რომლის სმიდებას სჯობია სულ არაფერი მივიღოთ. არსებითად ამ პარტიამ ავტონომიას უარი ჰყოვო.

კრება დიდი კმაყოფილი დარჩა და ორატორი ხანგძლივი ტაშით დააჯილდოვა.

მორიგი კრება ხუთშაბათს 1 ივნისს.

**ილო.**

# აფხაზთა ყრილობა.

25 მაისს ქ. სუხუმში მოხდა აფხაზეთის სამღვდელოების და ხალხის თათბირი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კითხვაზე.

ქუთ. გუბ. თ-დ აზნ. წინამ. თ-დ დ. ო. ნიჟარაძის მიმართვა:

„სამღვდელოებავ და აფხაზთა ხალხის წარმომადგენელნო! საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრემ და დროებითმა მმართველობამ დაგვავალეს ჩვენ, გადმოგცეთ გულწრფელი ძმური სალამი.

საერთო სამშობლოს სიყვარულმა და სამსახურმა შეაკავშირა და შეადუღა ქართველთა და აფხაზთა ინტერესები და ისტორიულად ერთი გზით ატარა. ძვირფასო ძმებო! თქვენი ცხოვრების აყვავება ესკვნებოდა მთელ საქართველოს აყვავებას ქართულ ცხოვრების დაცემას კი თან სდევდა აფხაზთა ყოფის დაქვეითება. აწ როდესაც ყოველმა ერმა უნდა გადასწყვიტოს თავის თვითგამორკვევის კითხვა, აფხაზეთი მოვალეა მედგრად სთქვას თავისი სიტყვა საერთო რეფერენდუმის სახით. სიტყვა იგი ენდა ეთანხმებოდეს სახელმწიფურ ინტერესს, სადაც აღარ არის ეროვნული ჩაგვრა და ეროვნული შუღლი. უნდა განმტკიცდეს ძმური ურთიერთობა ეკონომიურად და პოლიტიკურად. აფხაზეთის ხალხს სრული უფლება აქვს ჰქონდეს თავის საკუთარი ენა, განავითაროს იგი და გაამშვენიეროს თავისი ეკლესია. ქართველობა დახმარების ხელს უწვდის მოძმე აფხაზეთს და ამასვე მოელის მისგანაც... ჩვენ უნდა შევერთდეთ საერთო სამშობლოს საკეთილდღეოთ".

სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და მწერალმა პ. გოთუამ და საზოგადო მოღვაწემ გენ. ვას. გაბაშვილმა. ამათ სიტყვის შემდეგ თ-დმა დ. ნიჟარაძემ კვლავ მიმართა კრებას და სთქვა. „ძ-მანო აფხაზნო! ჩვენ შევასრულეთ დაკისრებული მისია, და გამოგიწვდინეთ ხელი ჩვენი სახლის შვილნო! ამ დიად დღეებში გთხოვთ, რომ თქვენი დასტური მოგვცეთ ქართულ ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენაში, რომელიც საერთო დედაა... დღეს თქვენთან ერთად დავიბრუნებთ ჩვენ ივერიის ეკლესიის უფლებებს, რომელსაც 1886 წ. განაგებდა თქვენთვის საყვარელი მღვდელმთავარი გაბრიელი. დღეს, ძმები, უნდა შევკავშირდეთ და მოვითხოვოთ საერთო საჭიროებანი... თქვენ იცით, რომ ქართული ეკლესია დღემდის იხსენიებს „ივერია აბხაზეთის" კათალიკოსს, რომლის ადგილზეც უკანასკნელი იყო აბხაზეთ-იმერეთის კათალიკოსი მაქსიმე. აფხაზეთის ხალხმა უნდა მოაწყოს თავის შინაური კეთილ-დღეობა და ცხოვრება ჩვენთან განუყრელ კავშირით. ამას მოითხოვს ჩვენი ისტორიული წარსული ამასვე მოითხოვს ჩვენი აწმყო და ეს შეგნებული უნდა იქმნას, როგორც აფხაზთაგან ისე ქართველთაგან. ჩვენი ცხოვრების პირობები გვიბრძანებენ შეერთებას და ერთეულ ძალით სამშობლოს სამსახურს... შევიგნოთ ეს!..

ღრმადა მწამს, რომ ტაძარნი აფხაზეთისანი სრულიად საქართველოს მოუწოდებენ შესაკავშირებლად და ერის საშველად...

წინააღმდეგ შემთხვევაში ერის ისტორია ჩვენ სასტიკად დაგვსჯის.

ვამთავრებ ჩემს სიტყვას და მთელი გულის სიღრმით გისურვებთ აყვავებას თქვენ ძმაა ქართველებთან ერთად.

# ახალი ამბავი

✦ მოქალაქენო ქთხოვთ დაესწროთ ქვიტირის ქუჩის მომავალ გასახსნელ საზოგადო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ გამართულ საღამოს ამავე ქუჩაზე კოსტა ბაბუნაშვილის სახლში ივნისის 10-ს საღამოს 8 საათზე.

✦ ქალაქის არჩევნები. ოთხშაბათს 7 ივნისს ალმ. კომიტეტს თათბირი ექნება საარჩევნო საქმეთა გამო ამ თათბირზე ქალაქი უნდა დაიყოს საარჩევნო უბნებათ

✦ უწესოება აგრარულ ნიადაგზე. დვალიშვილების რაიონში ხალხი შეესია ალექსანდრე გიორგისძე ლორთქიფანიძის მამულს და არბევს.

* * *

დღეს ისე ვარ მწუხარე... ტანჯვით გაცინებული.
ვით სამშობლო ბედისგან გვემულ და წამებული...
მწარეა მოგონება-—ფიქრი კაეშნიანი,
თავს მარტოდ-მარტოდა ვგრძნობ არსად სჩანს ჩემიანი.
ბაღში ყვავილთ—ხავერდზე ცრემლები დავანამე
დავრჩი... დავიგვიანე ტანჯვით ვევნე-ვეწამე.
სუნთქვაც კი დამიმძიმდა შაირივით მსუბუქი,
ვხედავ თვალ-ცრემლიანი მკრთალობს ყვავილი მუქი...
ივერიის ცის ქვეშა კვდება ცოცხალი ნება
გული სყვდამ დააჭკნო-გაქრა ტკბილი ოცნება...
ვფიქრობ: სამშობლოს ბედი ნეტავ რით გადაწყდება
სევდა ქარიშხალიანი ცივს სხეულზე მაწყდება...
ჩემო სამშობლო მხარე ჩემო ტკბილო ქვეყანა
როდის ამიყვავდები, რომ გასვია გულს დანა...

ქ. ბაქო, 1916 წელი.

**ლადო მაჭავარიანი.**

✦ სალხინოს ამბები სენაკის აღმასრულებელი კომიტეტი აცნობებს ქუთ. ალმ. კომიტეტს, რომ სოფ. სალხინოში პრინცის მამულში მომხდარ ამბების გამო გამოგზანილია მაზრის კომისარი გამსახურდია.

✦ დასაგმობი მოვლენა. 3 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე, ბალახვანის ქუჩაზე ბაქრაძის ეზოში შეცვინდა რამდენიმე მთვრალი ჯარისკაცი და მოინდომა ბაქრაძის მდგმურ ქალის ოთახში შესვლა, რადგან კარი არ გაუღეს, ჯარისკაცებმა ძალას მიმართეს და შეამტვრიეს კარი. ეზოში საშინელი ალიაქოთი დადგა და კივილ წივილი გაისმა. საჭიროა ასეთ არასასურველ და მშვიდობიანობის დამრღვევ მოვლენას შეგნებულმა ჯარისკაცმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ.

✦ ამიერ კავკასიის მთავარი კომიტეტი სთხოვს ქუთ. ალმ. კომიტეტს საჩქაროდ წარუდგინოს მას ალმ. კომიტეტის ყველა მოსამსახურეთა და წევრების სია.

✦ მეაბრეშუმეობის საქმე. რადგან აბრეშუმის პარკის ბაზარზე გატანა უკვე მოახლოვდა, ამიტომ ქუთაისის სააბრეშუმო პუნქტის უფროსი ბ-ნი ი. ქუთათელაძე სთხოვს ქუთ. ალმ. კომიტეტს, დაეხმაროს მას ქალაქში პარკის საზოგადო ასაწონის მოსაწყობათ, რომელსაც თვალყური უნდა ადევნოს განსაკუთრებულმა კომისიამ.

✦ **ჯარისკაცი ნიკოლოზ იასონის ძე ჰელიძე** გვთხოვს დაუსტამბოთ შემდეგი განცხადება:

„8 მაისს ქალ. მინსკიდან მოგზაურობის დროს პატარა კალათი გამოყვა ორ ქართველ სალდათებს; ერთი იყო შორაპნის მაზრის (გვარი არ ვიცი) და მეორე საჩინოელი გიორგაძე, რომლებიც მოდიოდნენ მოსკოვის სამხედრო საავათმყოფოდგან. კალათში იყო ჩემი დოკუმენტები: ატესტატი ქუთაისის მესამე უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის გათავებისა, ხნოვანობის მეტრიკა თბილისის კონტორიდან და გუბერნატორის მოწმობა, მასთან სხვა რამეებიც. ვსთხოვ იმ ჯარის კაცებს, ნაცნობებს და ნათესავებს, მაცნობონ, ან გამომიგზავნონ საჩქაროდ ის დოკუმენტები, რომლებიც შეადგენენ ჩემთვის აუცილებელ საჭიროებას".

მისამართი: Ст. Ессентуки, Вл. ж. д. Б. I кл. Н. Я. Челидзе.

✦ კავკასიის ქალაქთა კავშირის რეორგანიზაცია. 16 ივნისს ქ. თბილისში მოხდება კავკასიის ქალაქთა კავშირის კრება, ამ კავშირის რეორგანიზაციის მოსახდენად.

✦ სტუდენტთა ჯარში გაწვევა. ჯარში გაიწვევენ იმ სტუდენტებს, რომლებიც 1898 წ. არიან დაბადებულნი.

— ექიმთა გაწვევა. სამხედრო სამსახურში გაიწვევენ იმ ექიმებს, რომელთაც დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდათ.

— თბილისის მუშ. და ჯარისკაცთა საბჭო და სტოკჰოლმის კონფერენცია. 2 ივნისს თბ. მუშ. და ჯარ. კაცთა საბჭომ მოისმინა ა. ჩხენკელის მოხსენება სტოკჰოლმის კონფერენციის შესახებ და დაადგინა, მხარი დაუჭიროს პეტრეს ქალაქის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს კონფერენციის მოწვევაში და ზავის კითხვის საჩქაროდ გადაწყვეტაში.

✦ დელეგაციის გამგზავრება. 4 ივნისს თბილისიდან პეტრეს ქალაქს გაემგზავრა საქართველოს ეკლესიის დრ. მმართველობის დელეგაცია, რომელიც მთავრობას მოელაპარაკება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საქმეთა შესახებო.

✦ წიგნ. გამომც. ამხ. „ინტერნაციონალი". თბილისში შესდგა წიგნ. გამომც. ამხანაგობა „ინტერნაციონალი", რომლის მიზანია სხვადასხვა ენაზე ხალხისთვის გასაგებ ენით დაჰბეჭდოს წიგნები და იაფ ფასებში გაავრცელოს.

✦ სასანიტარო საქმე. ქალაქის სასანიტარო ექიმმა ბ-ნმა ალექსანდრე მაჭავარიანმა უსუფთაობის გამო დაკეტა ორი რესტორანი. მაჭავარიანს სასანიტარო წესების აღდგენის დროს ზოგიერთნი წინააღმდეგობას უწევენ, რასაც საჭიროა სასტიკი ყურადღება მიექცეს.

— ავადმყოფობის დამალვა. ექიმი ალ. მაჭავარიანი აცხადებს, რომ ქალაქის ზოგიერთი მცხოვრებნი მალავენ სახადით და სხვადასხვა გადამდებ სნეულებით ავადმყოფთ, რაც მეტადარა სასურველია.

**პროვინცია.**

**ახალი სენაკი.** ადგილობრივ მაზრის სამართველოს მოხელენი და მოსამსახურენი სთხოვენ ქუთ. ალმ. კომიტეტს, ცხოვრების გაძვირების გამო მოუმატოს მათ ჯამაგირი.

**ხონი.** ხონის ალმ. კომიტეტი ქუთ. ალმ. კომ. წინაშე შუამდგომლობს, რათა დაბა ხონი, როგორც ცენტრი ქვემო იმერეთისა სავაჭრო პუნქტი და კულტურულ დაწესებულებით მეტად მაღლა მდგარი, გადაკეთებულ იქმნას ქალაქად და მიეცეს საკუთარი თვით მმართველობითი უფლებანი, როგორც ეს სხვა ქალაქებს აქვთ.

# დამფუძნებელ კრების არჩევის დებულების პროექტი

დამფუძნებელ კრების საარჩევნო კანონთა შემმუშავებელ საგანგებო საბჭოს მომავალ მოქმედებისათვის იურიდიულმა საბჭომ შემდეგი პროექტი შეიმუშავა:

**საერთო დებულებანი.**

დამფუძნებელ კრების წევრებს ირჩევენ საყოველთაო, პირდაპირი, ფარული კენჭის ყრით, განურჩევლად სქესისა, ამორჩევის პროპორციალ სისტემის მიხედვით.

საარჩევნო უფლება აქვს რუსეთის ყველა 20 წლის მოქალაქეს.

**საარჩევნო უბნები და ოლქები.**

დამფუძნებელ კრების საარჩევნო ოლქებად გუბერნიებია.

თითო ცალკე საარჩევნო ოლქი თავის მხრივ დამფუძნებელ კრების წევრთა რიცხვს მოსახლეობის მიხედვით ირჩევს.

არჩევნების გასაადვილებლად საარჩევნო ოლქები უბნებად იყოფა. საარჩევნო უბნებად კი ქალაქები და სოფლის საზოგადოებები ითვლება. ამასთანავე ქალაქი და სოფლის საზოგადოება ისე ნაწილდება არჩევნების დროს, როგორც დანაწილებული იყო ქალაქის საბჭოსა და სოფლის საზოგადოების საერობო საბჭოს არჩევნების დროს.

**საარჩევნო სიები და შიგ ჩაწერილი პირები.**

დამფუძნებელ კრების წევრთა ასარჩევად უნდა საგანგებო საარჩევნო სია შედგეს. თითო საარჩევნო უბნისათვის ცალკე საარჩევნო სია უნდა იყოს. ამ სიაში ჩასწერენ ყველა ამ უბანში მცხოვრებ მოქალაქეებს. სიებში ჩასაწერენ იმათაც, ვინც უბანში სცხოვრობდა იმ დღემდის როცა უბანმა მთავრობის ჩვენება და ვანკარგულება მიიღო.

არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს სიაში ჩაწერილ ყველა მოქალაქეს. ამასთანავე ისინი შეიძლება აირჩიონ, როგორც თავის უბანში ისევე მთელს სახელმწიფოში. ამომრჩეველთა სიაში არ ჩასწერენ და არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ 1) ოლქის, გუბერნიის მაზ. და სხვა საადმინისტრაციო ძალის უმაღლესი წარმომადგენელნი და მათი თანაშემწენი. 2) მილიციის მოსამსახურენი ამა თუ იმ უბანში. 3) ბერები. 4) სულით ავადმყოფნი, ყრუ-მუნჯნი. 5) სასამართლოს ძალით დასჯილნი და უფლება აყრილნი—დანაშაულის მოჰხდის სამის წლის შემდეგ, ხოლო ქურდობისათვის, შანტაჟისა და სხ., დასჯილნი დანაშაულის მოჰხდის ერთი წლის შემდეგ 6) ყველა ვალში ჩაფლული და სხვაზე დამოკიდებული პიროვნება. 7) ყველა სასჯელის სახით თავისუფლებას მოსპობილი მოქალაქე. არჩევნებში არ მონაწილეობენ აგრეთვე ამომრჩეველ კომისიების თავმჯდომარე, მდივანი და წევრები

**საარჩევნო კომისიები.**

ამომრჩეველ სიების შესადგენათ, დამფუძნებელ კრების არჩევნების დროს მიცემულ ხმათა დათვლა გასანაწილებლად უნდა დაარსდეს ქალაქის გუბერნიის და სოფლის საზოგადოების კომისიები.

ქალაქისა და სოფლის საზოგადოების თავთა გარდა, რომელთაც საბჭო ირჩევს და გარდა რომელიმე ჯგუფის მიერ დამფუძნებელ კრების კანდიდატათ დასახელებულ პირისა, საარჩევნო კომისიაში შედის საარჩევნო სიაზე პირველი ხელის მომწერი კანდიდატი, თუ ამ ჯგუფებს წარმომადგენლისათვის სხვა პირი არ ჰყავთ.

შემდეგ პროექტის სხვა მუხლებში აღნიშნულია კომისიის უფლებები და მოვალეობანი.

**საარჩევნო სიების შედგენა.**

დამფუძნებელ კრების საარჩევნო სიებს მაზრისა და ერობათა ხმოსნების საარჩევნო სიების მიხედვით უნდა შესდგეს, ამ სიის შედგენის შემდეგ ხუთი დღის განმავლობაში საარჩევნო კომისიებს ევალებათ შეადგინონ ორი დამატებითი სია.

1). იმ პირთაცვის, რომლებმაც საარჩევნო უფლება მოიპოვეს მაზრის ხმოსანთა საარჩევნო სიების შედგენის შემდეგ და 2) იმ პირთათვის, რომლებმაც სწორედ ამ დროს დაჰკარგეს ეს უფლება.

ამ სიების შესამოწმებლად წარდგენის შემდეგ ათი დღის განმავლობაში ადგილობრივ ადმინისტრატიულ ძალის წარმომადგენელს უფლება აქვს პროტესტი განაცხადოს, ხოლო დაინტერესებულ პირთ იჩივლონ, რომ სიები სწორედ არ არის შედგენილი.

პროტესტებსა და საჩივარს მიიღებს მაზრის საერობო საბჭო, რომელიც მოვალეა თხუთმეტი დღის განმავლობაში გაარჩიოს საქმე და თავისი გარდაწყვეტილება მომჩივრებს გამოუცხადოს.

**კანდიდატთა სიები.**

არჩევნებამდე თუთხმეტი დღის წინ ამომრჩევლებმა საარჩევნო კომისიებს უნდა წარუდგინონ თავის კანდიდატთა სია, ამასთანავე საჭიროა ნოტარიუსით დამტკიცებული მოწმობა, რომ კანდიდატი თანახმაა საარჩევნო ყუთი დაიდგას. კანდიდატთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს დამფუძნებელ კრების წევრებს, რომელიც ამა თუ იმ ოლქში უნდა აირჩიონ. იმ სიებში, რომლებშიაც კანდიდატთა რიცხვი ამ ოლქში ასარჩევ წევრთა რიცხვს აღემატება, უკანასკნელათ ჩაწერილ კანდიდატებს ამოშლიან. სიებს ხელს აწერს არა ნაკლებ ასი ამომრჩევლისა. ყოველ ამომრჩეველს უფლება აქვს, მხოლოდ ერთს სიას მოაწეროს ხელი. ხოლო, თუ აღმოჩნდა, რომ ერთსა და იმავე ამომრჩეველს ორგან ან მეტგან უწერია ხელი, იმის ხელ მონაწერს ხოლოდ პირველ ხელმოწერილ სიაზე აქვს ძალა.

**ხმის მიცემა.**

არჩევნის უფლებით აღჭურვილმა მოქალაქემ თვითონ უნდა მისცეს ხმა და არავითარ შემთხვევაში უფლება არა აქვს თავისი ხმა სხვას გადასცეს. იმ პირებს, რომელნიც საარჩევნო სიაში ჩაწერილნი არ არიან და თავისი საარჩევნო უფლება დაუკარგავთ, ნება არა აქვთ ხმის მიცემისა. ერთს ამომრჩეველ ოლქის სხვადასხვა უბანში არჩევნები ერთ დღეს უნდა მოხდეს. ხოლო საარჩევნო დღეს დროებითი მთავრობა დაჰნიშნავს. შეძლებისადაგვარად საარჩევნო დღე მთელს რუსეთში ერთი იქნება.

საარჩევნოდ დანიშნულ დღეს საარჩევნო კომისიები, ხმის მისაცემად, 8 საათიდგან 8 საათამდე ღია უნდა იყოს და დანიშნულ დღემდე ორი კვირის წინ მოვალენი არიან ამცნონ სოფლებს, ოლქებს ერობებს და სხ., რიოდისათვის არის დანიშნული საარჩევნო დღე. არჩევნების დროს წესრიგს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე იცავს, რომელიც მოვალეა თვალყური ადევნოს, რომ არჩევნების დროს არავითარი აგიტაცია არ მოჰხდეს და სხვა. არჩევნები ფარული კენჭის ყრითა ჰხდება. ამომრჩეველს დახურულ კონვერტში საარჩევნო სიას მისცემენ და ისიც ამის მიხედვით ხმას მისცემს.

**ხმათა დათვლა.**

კენჭის ყრის მეორე დღეს, დილის 10 საათზე საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა თანადასწრებით მიცემულ ხმების დათვლას შეუდგება. კენჭის დამთვლელნი ისე უნდა იყვნენ განაწილებულნი, რომ იქ მყოფნი თავისუფლად ადევნებდნენ თვალს მათ მუშაობას.

**არჩევნების შედეგის გამორკვევა**

მაზრის საბჭო მოვალეა მიღებული საარჩევნო ცნობები საჭირო ქაღალდებით გუბერნიის საბჭოში გაჰგზავნოს. ხოლო გუბერნიის საბჭო გაანაწილებს, ხელ-ახლად დასთვლის და გამოარკვევს ვის რამდენი ხმა აქვს მიღებული და სხვა.

ამის შემდეგ საბჭო შეუდგება დამფუძნებელ კრების წევრთა რიცხვის შედგენას. ამისათვის ოლქში ამოსარჩევ დამფ. კრების წევრთა რიცხვს ამრავლებენ ამა თუ იმ სიაზე მიღებულ კენჭის რაოდენობაზე, ჰყოფენ მთელს ოლქში მიღებულ კენჭთა რაოდენობაზე და ამგვარად რამდენიც გამოვა ჯამი იმდენ კაცს აირჩევენ დამფუძ. კრების წევრებად ამ ოლქში.

**საჩივრები და პროტესტები არჩევნების გამო.**

ამგვარად გადარჩეულ და დალაგებულ ქაღალდებს გუბერნიის კომისარს გაუგზავნიან, რომელიც ორი კვირის განმავლობაში, დღიდგან მიღებულ ქაღალდებისა,

მოვალეა თავისი პროტესტი გამოაცხადოს. საჩივრის შეტანის უფლება, მხოლოდ არჩევნებში მონაწილე და აურჩეველ კანდიდატებსა აქვთ. საჩივარს ოლქის სასამართლოში მიიტანენ ორი კვირის განმავლობაში დღიდან არჩევნებისა. სასამართლო კი ორი კვირის განმავლობაში გაარჩევს საჩივათს. ამ დროს სასამართლოში შეიძლება რამდენიმე განყოფილება დაარსდეს და მოწვეულ იქმნენ აგრეთვე სხვა ოლქის სასამართლოს წევრნი. სასამართლოს დადგენილება აუცილებლად უნდა შესრულდეს, მისი ხელ ახლად გასაჩივრება ყოვლად შეუძლებელია, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში ერთი თვის განმავლობაში საქმე სენატში უნდა გადაიტანონ.

დაწვრილებითი წესი არჩევნების მოსახდენათ აღნუსხულია შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გამოცემულ წეს-რიგში, რომელიც სენატმა საყოველთაო საცნობლად დაჰგზავნა რუსეთის სხვადასხვა კუთხეებში.

## გლეხების საუბარი პროპაგანდისტთან.

— კაცო, რა გემართება შენ? იქით კვირაში ვიყავი აქანეი და ქე დამთანხმდით ყველაფერზე. ახლა რაუბედურეობამ მოგიქციათ ფხარი, შენ შენ ხარ, მარა აქანეი, კაცო, შენს სოფელში გავლენიანი კაცი ხარ და ყველას შენი ჯერა, კაცო. მომიწყვე ხელი, ხო ხედავ ამდენი ხალხია შეყრილი. ბოლოს შენც კაი ბედი მოგელის, იცოდე. ახლა არჩევნები იქნება, გლეხების წარმომადგენლები უნდა გაიგზავნოს რუსეთში და, კაცო, რაც გაკლიათ, რაც გჭირდებათ, თქვენ თითონ ილაპარაკებთ, კაცო, თქვენ ტკივილებზე და თქვენ გასაჭირზე. რომელი პარტია არის, რომ ჩვენზე უკეთესი უნდა თქვენისთანა ყველასაგან დაჩაგრული და დაბეჩავებული ხალხისთვის ერთი მითხარი! სოფელში, მე დარწმუნებული ვარ, როგორც სანდო გლეხს და პატიოსანს, შენ აგირჩევენ და გაგზავნიან რუსეთში და ერთ მშვენიერ დღეს პეტრეს ქალაქში ამოყოფ თავს და ისტორიული პირი შეიქნები.

— ისე აშენდა შენი ოჯახი, მე თუ იქინა გამგზავნიან, მე რამე გავაკეთო! რა უნდა ვილაპარაკო ბიჭო? რუსულათ პურს რაქვია ის არ ვიცი, და ახლა შენ მინისტერთან მგზანი სალაპარაკოთ? საიქაო რუსული მე კი არა, და შენ, თორმეტი წელიწადია ქალაქში ხარ, და შენც არ იცი, და მე სიდან მეცოდინება?

— შენ მაგის დარდი ნუ გაქ. შენ არ გეცოდინება, სხვას იშონი მოლაპარაკეს და იმას ალაპარაკებ.

— ვაიმე, ახლა კიდო პრავოჩიკობია უნდა იყოს, იმათმა გაგვტყავეს ჩვენ და კიდევ იმათ სადრიტინოთ უნდა გვექნეს საქმე?

— არა, კაცო, ეგ შემცდარი აზრია. სამართალი მართლათ და კანონიერათ გაირჩეს, ძამია, და სულ ერთია, რა ენაზედაც უნდა იყოს, რუსულათ იქნება თუ სომხურათ.

— სულ ერთი თავის დღეშიდაც არ არის. სად ის, მე რომ გევიგონებ და სად სხვისი გადმოცემული სიტყვები. ე ჩემი ადგილი კი არ დამეკარგებოდა, რომ ზესტაფონელ ვექილს არ დეველუპე. იმ ჩემი ცოდვით სამსეს სუდიას ჩემი არაფერი ეყურებოდა და ვექილმა ჩემიდანაც ეიღო ფული და ივანესაც გამოართვა თურმე, მარამ ივანეს უფრო მეტი მიეცა ჩემზე და ადგილიც იმას დარჩა.

— კაცო გეიგონე და შეიგნე: ის დრო წავიდა, მაშასადამე მაგეთი უსამართლობა და ჩაგვრაც მოისპობა.

— ჰო, კაცო, თუ აგრეა, ქრისტიანულათ მელაპარაკეთ ჩემ ენაზე გამაგონეთ სამართალიც და უსამართლობაც ყველაფერი და დაგიჯერებთ მაშინ. ახლა კაცო, შენ რუსეთში მაგზანი ყრუ კაცს სალაპარიკოთ მე იქ არ წავალ და არც სხვა წავა ამ ჩემი სოფლიდან არავინ. იმდენი რუსული ვინ იცის? უნდა წევიდენ ისევ დიდი კაცები და რა იციან იმათმა, მე რაცხა მინდა. გამოვა ისევ თქვენი ბატონობა და ის იქნება.

— გაჩერდი, კაცო, ეშმაკები ნუ შეგჯდომია მხრებში. შენ დაღუპავ სამშობლოს და შენისთანა ხალხი დიდებულათ მოწყობილ საქმეს წაგვიხდენენ. მეტი რა გინდა, შე ოჯახ აშენებულო, წყალს გაძლევთ, მიწას გაძლევთ, იმუშავეთ და იყავით...

— თქვენი მოცემული მიწა არ გვინდა, ჩემო ძმაო, და ვერც არვის ჩემსას მივცემ. ნახევარი ქცევა ნამყენი მაქ, იმაში რომ ვინმე შამომივიდეს, ცოცხალს არ გაუშვებ, იმ ვენახის ძირში გოუსრესამ თავს გვცლივით.

— ძმაო და მოქალაქე, სოციალიზმი, არ იცი შენ, რასაც აღიარებს. სოციალიზმი იმას გვეუბნება, რომ არავინ არ უნდა იჩაგრებოდეს ქვეყანაზე, მიწა საერთო უნდა იყოს და, მაშასადამე, ყველას უნდა შეეძლოს მიწიდან სარგებლობა ერთნაირათ. აიღე მიწა და იმუშავე რამდენ-ხანაც გინდა. თუ შენი შვილი მუშა იქნება, მიწა იმას დარჩება და, თუ არა, მიწა მუშას მოახმაროს ღმერთმა.

— ისე ცხონდა მამიშენის სული, მე მამაჩემის დატოვებული მიწაზე ხელი ავიღო და სანათხოვროთ გავხადო! მიწა კი არა და ახალოხი არ მცმია მისდღემჩი ნათხოვარი და ნათხოვარი მიწაზე რანაირათ უნდა ვიმუშავო გული არ მიმივა ზედ. ა კიდევ სხვებიც და კითხე, თუ ვინმე დაგეთანხმება მაგაზე—ხალხნო და ჯამაათნო, დასთანხმდებით ამ მიწის ცოციალისტობაზე? შენ უთხარი, კაცო, რაცხა არის. (პროპაგანდისტი ხსნის მიწის სოციალიზაციას.)

— არ გვინდა შენი ჭირიმე, მოშორდი, თუ არა ცოდვას ჩაგვადენიებ, კაცის სისხლს დაგვადებ ერთ გოჯა მიწასაც ვერვის დაგანებებთ. ჩვენ ჩვენ ადგილის სიგძეც ვიცით და სიგანეც.

— ჰო აპა და ის გინდათ რომ აზნოურიშვილებს და თავადებს იმდენი აუარებელი მიწა დარჩეს ხელში და ისე იმეფონ კიდევ?

— შენ, ბოშო, სიდოური ხარ, რომელი აზნოუშვილია, რომ აქ ჩვენზე მეტი მიწა ქონდეს? სახარბიელო და წასართმევნი არავის არა გვაქ, დაგვაყენეთ, კაცო, ჩვენთვინ, მიწას ვერავის ვერ მივცემთ.

— ვიცი, ვიცი აქ ვინცხა ყოფილა და იმას ჩაუგონებიხართ, მარამ თქვენ თავს დააბრალეთ, რაც მოგივიდესთ.

— ჩვენ ჩვენს ადგილებს ვერავის ვერ დავანებებთ და რაც გინდოდესთ, ის დაგვარქვით, გინდ ცოციალისტი, გინდ თებერვალისტი და თუ გინდა სხვა. ეს კი გადაწყვეტილია: ჩემ ადგილში ვერვის შამოუშვებ.

**ანეტა.**

## წერილები ჯარიდან.

„ძალა ერთობაშია“

4

ქართველ ერს, დღიდან მისი წარმოშობისა, სხვადასხვა შეხედულება ახასიათებდა სამშობლოს სიყვარულსა თუ სიძულვილში. თვითეული ბრწყინვალე წოდების წარმომადგენელი თავის ძლიერებისა და სახელის მოსახვეჭად იყენებდა ქვეყნის კეთილდღეობას და სცდილობდა მის დანაწილებას, რომ რომელიმე ნაწილის ბრძანებლად გამხდარიყო.

იყვნენ მოღალატენიც და სამშობლოსათვის თავდადებულნიც.

არიან ეხლაც.

მართლია არ ითქმის თანამედრვე ქართველთა შორის იყვნენ მოღალატენი თავის სამშობლოისა, არ ითქმის იმისთვის, რომ სამშობლო ყველას უყვარს მიუხედავად მისი მდგომარეობისა და მიმართულებისა უყვარს იმისთვის, რომ სამშობლო მათი მშვენიერია, კეკლუცი, მომხიბლავი, რომელთაც აღფრთოვანების ფრთებს ასხამს, უყვარს იმისთვის, რომ მათ მშობელ დედას ძალით ლეჩაქი ახადეს და აჰა უმზერენ ას ჩვიდმეტი წლის შემდეგ პატივ აყრილ დედას, რა რიგ ეფინება უხეშ ძალთაგან მოტაცებული ლეჩაქი.

მაგრამ საუბედუროთ არავის არ გვიყვარს...

დიახ არავის არ გვიყვარს.

ვიცი ამ სიტყვებზე ბევრი ჩაიცინებს „როგორ თუ სამშობლო არ მიყვარსო“ მაგრამ ეს ფაქტია, ამას მტკიცება აღარ სჭირდება და ის დამეთანხმება, ვინც თავისთავს იცნობს, ვინც ჩვენს თანამედროვე ცხოვრებას და მოქმედებას დაკვირებია და ვინც ჩვენი პარტიების ფანატიკოსობის სიღრმეს ჩასწვდომია.

მე შევხვედრივარ უცხო მხარეში სამშობლოდან დაშორებულ ქართველს. გაცნობისთანვე მისგან საქართველოს ხოტბათა შესხმა მსმენია, გამხარებია, მარამ ეს სიხარული ცრემლებათ შემცვლია ხში რად როდესაც კამათი გაღრმავებულა.

—„ყველგან სამშობლოა სადაც ვიცხოვრებ“—წამოცდენია სამშობლოს მოტრფიალეს.

მაგრამ ეს კიდევ არაფერია.

ასეთები მოწამლულნი არიან, ჩაგონებულნი.

სხივ-მოსილებით მოვლინებულმა რევოლუციამ პირველ რიგზე ეროვნული საკითხი წამოაყენა და ეს ასეც უნდა მომხდარიყო.

რუსეთში არსებული ყველა ჩაგრული ერები ენერგიულად ჩაებენ საქმეში და თავის უფლებათა აღდგენას ნაღარის კვრით ითხოვდენ. და დაუბრუნდებათ და კარგული უფლებები. ამ ერებსაც ჰყავთ სხვადასხვა პარტიები და სხადასხვა ჯგუფები, რომელთა შორის არის ბრძოლა, და რომელნიც სხვადასხვა გზით მიდიან მაგრამ როგორიც არის ეროვნული საკითხი რომელმაც უნდა გადასწყვიტოს მთელი ერის ბედი და უბედობა აი ასეთ საკითხში ეს პარტიები, ჯგუფები გაერთიანდენ და ერთი ძალით რეკენ წმინდა ზარებს, რადგანაც სწამთ რომ ძალა ერთობაშია.

უკვე მეოთხე თვე გადის რაც ჩრდილოეთიდან გამოშუქებულ სხვათა ელვარებას ვღირსეთ და ჩვენ ქართველებს ეროვნულ საკითხში ერთი ნაბიჯიც არ გადაგვიდგამს.

ვინ იცის რამდენი საგაზეთო ქაღალდი დაიხარჯა მის შემდეგ, რამდენი მელანი ამოიწურა საწერელიდან, რამდენი კალამი დაიჟანგა და მწერალთა რამდენი აზრები გამოითქვა, მაგრამ ამაოთ; კვლავ უთანხმოება, პარტიათა ფანატიკოსობა და ერის კეთილდღეობის ნაცვლათ თავის პარტიათა გაბატონების წადილი.

ყველას უყვარს სამშობლო.

მაგრამ არვის.

ამიტომ რომ ყველა თავისებურათ სჯიჯგნის იმ წმინდათა წმინდას, რომლსაც თავს უმდა ვევლებოდეთ, დღისით და ღამით მასზე უნდა ვოცნებობდეთ.

არსებობს პარტია რომელსაც ღემდის საქვეყნოთ არ წამოცდენია სიტყვა მის საკეთილდღეოთ და თუ წამოცდება, საქართველოს თავისუფლებას უფრო კულტურული ავტონომიით საზღვრავს. (!) არსებობს პარტია, რომელიც იღვწის საქართველოს ავტონომიისათვის, მაგრამ რაღაც გაუგებრობის გამო ტერიტორიის ნაწილს სხვას თავაზობს და ამ ტერიტორიაზე მოსახლე ქართველებს, თავის ძმებს, აშორებს.

მაგრამ არსებობს პარტია, რომელიც სულ საქართველოზე ოცნებობს და ქართველი მშრომელი გლეხობის საკეთილდღეოთ ისედაც მცირე ტერიტორიის ვასაჩუქრება მიუტევებელი ცოდვათ მიაჩნია. და ეს ასეც უნდა იქნეს. აბა რაღა ვიქნებით, რას ემსგავსება ჩვენი ქვეყანა თუ მისი ნაწილები კიდევ სხვას მივსთავაზეთ?!

ჩვენ არაფერი გვაქვს გასაჩუქრებელი. და ტერიტორია ეს გამონაცვალი ქულაჯა არარის ვისაც გინდა რომ უწყალობო. მაგრამ საქმე ამაში არ მდგომარეობს. გედის, კიბოს და თევზის გზით სიარული ჩვენ დაგვღუპავს და დამფუძნებელ კრებაზე ამ გვარად რომ წარვსდგეთ, სხვა ერების წარმომადგენლები მხოლოდ სიცილს გამოიწვევს, რასაც ჩვენი მოუმზადლობით და მოუმწიფებლობით ახსნიან და ეს სირცხვილი არ არის?

ნუ თუ ეს არის ჩვენი სიყვარული სამშობლოისა?

დრო არის გონს მოვიდეთ და ასეთ საკითხში, როგოც ეროვნული საკითხია შევერთდეთ.

და ვინც სამშობლოს მოღალატე არ არის, ვინც თავის თავს კიდევ ქათველს უწოდებს, ვისაც ჩვენი მშრომელი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესობა მიზნათ დაუსახავს, მან კარგათ უნდა იცოდეს: რომ ეროვნულ საკითხში კინკლეობა ერს ზიანის მეტს არას მიანიჭებს.

ძალა ერთობაშია...

ერთობა კი ჩვენ უნდა შევქმნათ.

**ჯ.-კაცი ნიკ. ასათანი**

## რუსეთი.

დამფუძნებელი კრება.

პეტრეს ქალაქში დაჟინებით მოითხოვენ საჩქაროდ იქმნეს მოწვეული დამფუძნებელი კრება. ქუჩაში გამოშლილი ბრბო იძახის, ,, ჩქარა გვაღირსეთ დამფუძნებელ კრებას, რომ ერთი წესრიგი შეიქმნას და ერთი მთავრობა გვეყოლოსო“.

„ბოლშევიკები“

მოსკოვის საქალაქო არჩევნების დროს ხალხი სოც. დემ. ბოლშევიკების წინაღმდეგ ამხედრდა დამასთან შეტაკებას აპირებდა მაგრამ დაამშვიდეს. არჩევნებში ბოლშევიკები დამარცხდენ.

სიკვდილით დასჯა.

იაროსლავში ვამინის მოედანზე შეკრებილმა ხალხმა სიკვდილით დასაჯა 6 კაცი, რომელთაც ძარცვა-გლეჯვა ბრალდებოდათ.

ინგლისის პაციფისტები

„უტრო როს“. გადმოცემით ამ მოკლე ხანში რუსეთში მოელიან ინგლისის პაციფისტებს. იმ გემის მეზღვაურთ. რომლითაც ინგლისის პაციპისტები რუსეთში უნდა მოსულიყვენ გაფიცვა გამოაცხადეს და რუსეთში წამოსვლაზე უარი სთქვეს.

დეზერტირების დივიზია.

მთავარმა სარდალმა გენ. ბრუსილოვმა განკარგულება გასცა. რომ შესდგეს ცალკე დივიზიები დეზერტირებისგან.

ჯარის გადადგომა.

მინსკის. ერთი დივიზია სარდლობას გადაუდგა და მოითხოვს, ჯამაგირის მომატებას და დასასვენებელ დროს.

,,ქალების ბატალიონი‘‘

უკვე შესდგა და ბრძოლის ველზე წავიდა ქალთა ერთი ბატალიონი. ბატალიონის საბჭოს დადგენილება ასეთია: ,,უკიდურესი პატიოსნება, მედგრად დაცვა სამშობლოსი, ძლიერი დისციპლინა და ერთმანეთის პატივცემა‘‘.

ალექსანდრე მეორეს მკვლელები.

პეტრეს ქალაქში კითხვა აღიძრა მოძებნილ იქმნას იმ გმირთა საფლავები, რომელთაც 1858 წ. ამბოხება მოახდინეს და შემდეგ მეფე ალექსანდრე, მეორე მოჰკლეს, რის გამოც ისინი სიკვდილით იქმნენ დასჯილნი.

დიდი მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძის პროტესტი.

დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე პროტესტს აცხადებს იმის შესახებ, რომ მას ოფიციალ ქაღალდებში იხსენიებენ, როგორც „ყოფილ თავადს“ და არა დიდ მთავრად, მისი სიტყვით დინასტიის გაუქმებით მას წაერთვა მხოლოდ „იმპერატორობითი უმაღლესობის ტიტული ხოლო დიდი მთავრობის ტიტული ხელშეუხლებელი რჩება.

ცვლილება ჯარში.

სამხედრო მინისტრმა კერენსკიმ გადააყენა ჩრდილოეთის ფრონტის სარდალი გენ. დრაგომიროვი. განზრახულია აგრეთვე ერთი სარდლის გადაყენება. კერენსკი და ძველი გენერლები დიდ უთანხმოებაში არიან. კერენსკიმ თავის თანაშემწეებად დაინიშნა ორი ახალ გაზრდა კაპიტანი დუდეროვი და კუკელია.

საიდუმლო მოლაპარაკებათა გამოსინჯვა.

საგარეო საქმეთა მინისტრი ტერეშჩენკო ამ მოკლე ხანში მოკავშირეთ ნოტით მიმართავს, რათა გადასინჯულ იქმნას თვით მპყრობელობის დროს დადებული საიდუმლო ხელშეკრულება.

## ანგარიში.

შკოლის შესანახი თანხის გასაძლიერებლად ბავშთა დამხმარე საზოგადოების მიერ 19 მაისს ყულაბებით შეგროვილ ფულისა.

შემოვიდა 63 ყულაბით 2460 მ. 63 კ., შემოსწირეს, ყულაბების გარეშე კნ. ნ. პ. დადიანმა 10 მ., კნ. ა. ი. ერისთავმა 5 მ., მთელად 2475 მ., 63 კ. დაიხარჯა: სტამბას 25 მ., ქინძისთავები 40 მ., ეტლი 28 მ., მოსამსახურეს 16 მ., ,,კუმაჩი‘‘ 6 მ. 50 კ., ,,პლომბის‘‘ 1 მ. 25 კ., შპაგატი 30 კ., მთლად-117 მ., 5 კ., დარჩა წმიდა შემოსავალი 2358 მ., 58 კ.

საზოგადოების გამგეობა ულრმეს მადლობას სწირავს აქტიურ დახმარებისათვის შემდეგ პირთ: კნ. ე. გ. ერისთავისას, ე. კ. აბაშიძეს, ივ. დ. ერისთავისას, კალეუხოვის და ნოვიცკის შვილებს, ს. ი. ბაქრაძეს, ე. ი. ვოტკევიჩს, კ. ი. ფოსაკოვისას, ა. ნ. სერგეევსას, [illegible] დ. კოსტავას, მ. [illegible] ლორთქიფანიძეს, კნ. ბ. ს. ჩიქოვანისას, ნ. ს. ფილიპოვისას, ო. ფ. გვეჩკორისას, თ. ი. ჰეიშვილს, ს. დ. კინწურეიშვილს, [illegible] მ. ა. ივანოვისას, ო. გ. ჩომახიძეს, ო. ა. ლოლიძისას, ლ. ა. ჩხენკელს, ო. ნარსიას, რ. ო. სანიკიძეს, ე. კ. კვიცარიძისას, თ. ა. კაზაროვისას, ს. ა. მაჭავარიანისას, ე. ა. ბარათაშვილისას, მ. ე. კორძაიას, მ. გ. ლორთქიფანიძეს, ფ. პ. ჯაყელისას, ე. მ. მოშიაშვილს, მ. მ. ციციაშვილს, მ. ა. რიჟინაშვილს, კნ. ევ. ერისთავისას, თ. ლორთქიფანიძეს, ჩ. მიქელაძეს, კნ. ვ. ნ. ლორთქიფანიძეს, ე. ს. არდიშვილისას, კნ. ვ. ნ. აგიაშვილს, მ. ა. ანანიევს, მ. გ. ნიჟარაძეს, ვ. ს. სვანიძეს, თ. ა. მაჭავარიანს, ნ. ა. ჯორჯიკიასას, ე. ი. ნიკოლაძეს, ა. ვ. ანანიევისას, ნ. ნ. დემულონს, კნ. ივ. დ. მიქელაძეს, ნ. ა. ჭყონიას, მ. დ. კერესელიძისას, კნ. ნ. ე. დადიანისას, მ. გ. ანჯაფარიძისას, ფ. დ. მუმულიას, ი. შ. რიჟინაშვილს, ი. ა. ძოწენიძეს, ბ. ბაქრაძეს, ა. კ. ამაშუკელს, ნ. ბაქრაძეს, ო. ლ. რუსაძეს, ა. პ. დიდიას, ე. ქავთარაძეს, ი. ი. შავგულიძეს და ყველა იმ ქალვაჟთ, რომელთა დახმარება გაგვიწიეს და აგრეთვე ყველა შემომწირველთ.

გამგეობის თავმჯდომარე ე. მოსიძისა

მდივანი **დ. მანუილოვი.**

რედაქტორ-გამომცემელი

**დ. ბ. კვირკველია.**


## ექიმები:

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

ქ. ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტლის კარებთან ჰეიშვილის სახლში

**მ. კ ა შ ი ა**

არჩენს თვალების სნეულებათ (თეთრ გადაკრულს უოპერაციოთ)


## რკინისგზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 8 ს. | წ. |
| „ | — საღამ. | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის — | 1 ს. | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. 50 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 11 ს. | — |
| „ | — ღამის — | 11 ს. 34 | „ |
| ბათომისაკენ | - საღამოს | 7 ს. 5 | „ |
| „ | — დილის — | 7 ს. | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. | „ |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 8 ს. 40 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 5 ს. 20 | „ |


ქუთაისში დაარსდა ახალი წიგნის გამომცემლობა

**„განათლება“**

რომელსაც მიზნად აქვს დაუმზადოს და მიაწოდოს განახლებულ ქართულ შკოლას როგორც დაბალს, ისე საშუალოს, და აგრეთვე მომავალ უმაღლეს სასწავლებელს შესაფერი სახელმძღვანელოები. სალიტერატურო და სამეცნიერო წიგნები, რუქები, ატლასები და ყოველგვარი გამოცემები, რაც ქართულ შკოლას გამოადგება.

ავტორებს შეუძლიათ გაუგზავნონ თავის ნაწარმოები და მიმართონ პირობების გასაგებად გამომცემლობის კანტორის გამგეს გიორგი ს. სვანიძეს დილის 9 ს. 12 ს—დი. მისამართი: ქუთაისი ქართული გიმნაზია


სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გკიალოვის სახლი, ქუთაისში